



MES 3 23 0000650859



06/06/2023

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 24/05/2023

სხდომის დაწყების დრო 15:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 16:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი - ანა საბახტარაშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე პირები

საბჭოს წევრები:

1. ირაკლი ბურდული-სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
3. კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
4. გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
5. არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი.
6. გიორგი ტრაპაიძე-სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი.
7. თამარა თორია-ა(ა)იპ-საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მზია ყანჩელი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;

მარი მგელაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

1. ახმეტ თულრული-სკოლის დირექტორი;
1. სალომე ოსეფაშვილი-იურისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტი):

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

1. ლელა ფიცხელაური-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ნათია ლოლაშვილი-მერებაშვილი-ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) წევრები:

1. დავით მალაზონია-საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზვიად გოგუაძე-საბჭოს წევრი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სააპელაციო საბჭოს სხდომა იმართებოდა დისტანციურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საბჭოს სხდომა იყო საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართვა. დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა

1. შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორმა, ახმეთ თულრულმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ მარნეულში. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა დაწყებითი საფეხურის ქართულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი თქმით, სკოლაში მოსწავლეთა უმრავლესობა იყო არაქართველი. ახმეთ თულრულმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, სკოლაში დაფიქსირდა სამი ხარვეზი. მან დასძინა, რომ სკოლამ იმუშავა არსებულ ხარვეზებზე და გამოასწორა ყველა შეუსაბამობა, თუმცა, მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭომ ზეპირ მოსმენაზე არ მიიღო მხედველობაში დაწესებულების პასუხი შეუსაბამობების გამოსწორების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე.

დაწესებულების იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში სწავლობდნენ მხოლოდ I-VI კლასის მოსწავლეები, სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე და სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 160 მოსწავლეზე, მათგან 158 იყო აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლე, ხოლო 2 სტატუსშეჩერებული. სალომე ოსეფაშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა უმრავლესი ნაწილი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. მისი თქმით, დაწესებულება თითოეულ მათგანს ხელს უწყობდა მოეხდინათ ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში 2017 წელს განხორციელდა მონიტორინგის შეფასება, ხოლო 2018 წელს ავტორიზაცია. მისი თქმით, 2022 წელს განხორციელებული მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დაფიქსირებული ხარვეზები და ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ გამოასწორა და გაითვალისწინა.

სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შედეგად, დაწესებულებაში დაფიქსირდა სამი ხარვეზი, მათგან ერთ-ერთი ეხებოდა 2.1.3. ქვესტანდარტის დარღვევას. მისი თქმით, აღნიშნული ქვესტანდარტის მიხედვით, ექსპერტებმა ე.წ. სააქტო/სპორტული დარბაზი მიიჩნიეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი სპორტული აქტივობებისთვის შეუსაბამოდ, რადგან მდებარეობდა შენობის სხვენში, მანსარდის ტიპის დაბალჭერიან სივრცეში და არ გააჩნდა საევაკუაციო გასასვლელი. აქვე, სალომე ოსეფაშვილმა

აღნიშნა, რომ N99/ნ-ის ბრძანების თანახმად, 2.1.3. სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლებოდა, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდა სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. მისი თქმით, დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში გააჩნდა ერთი მწვანესაფარიანი მოედანი და ერთი მინი-მოედანი კალათბურთისთვის, ასევე, სპორტული დარბაზი, რომელიც ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. მისი თქმით, დაწესებულება 2017 წელს, როდესაც გაირა მონიტორინგი, ფლობდა მხოლოდ სპორტულ დარბაზს და არ გააჩნდა ღია სპორტული მოედნები, თუმცა, მას მიენიჭა ავტორიზაცია, რადგან აკმაყოფილებდა სტანდარტებს, ეს კი მაშინ, როდესაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ დადგენილი კიდევ ერთი ხარვეზი მიემართებოდა 1.2. ქვესტანდარტს. მისი თქმით, ექსპერტთა დასკვნის თანახმად, 1.2. ქვესტანდარტი დარღვეული იყო, რადგან სკოლას არ ჰქონდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარებისთვის შესაბამისი სპორტული დარბაზი, რაც საფრთხეს უქმნიდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის სტანდარტის მოთხოვნების სრულფასოვან შესრულებას სასწავლო წლის განმავლობაში, მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად. აქვე, სალომე ოსეფაშვილმა, აღნიშნა, რომ მანსარდული ტიპის ჭერის მქონე სპორტული დარბაზი, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელს არ უშლიდა სპორტული აქტივობების განხორციელებასა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვან ჩატარებას. ასევე, მან აღნიშნა, რომ შესაძლოა სპორტის გაკვეთილები არ ჩატარებულიყო სპორტული აქტივობების გამოყენებით და ნაცვლად ამისა, ჰქონოდა თეორიული ხასიათი. ასევე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და ახალი სკოლის მოდელის თანახმად, ფიზიკური აღზრდის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიიღწეოდა საფეხურის ფარგლებში და არ ითვალისწინებდა კონკრეტულ წელიწადზე შედეგზე გასვლას. სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებას 1.2. ქვესტანდარტის შეუსაბამოსთან დაკავშირებით, სკოლამ რისკების აღმოფხვრის მიზნით, გააფორმა ხელშეკრულება ქალაქ მარნეულში, სკოლასთან ახლომდებარე სპორტულ დარბაზთან, იმისათვის, რათა, უამინდობის შემთხვევაში ტრანსპორტირების გზით, უზრუნველყო გაკვეთილების ჩატარება. ასევე, გაკვეთილების ცხრილში შევიდა ცვლილება და სპორტის გაკვეთილები გადანაცვლდა ბოლო გაკვეთილებზე.

სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ დადგენილი მესამე ხარვეზი ეხებოდა 1.4. ქვესტანდარტს, რომლის მიხედვითაც, შეფასება არ იყო სანდო და ვალიდური. კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, თუ რამდენად ემსახურებოდა ის მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებას. სალომე ოსეფაშვილის თქმით, ექსპერტებთან და საბჭოს წევრებთან დაწესებულებამ განმარტა, რომ შეფასების სქემები იყო ზოგადი ხასიათის და კონკრეტული შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები შეიმუშავებდნენ საგნობრივი კათედრების სხდომაზე და იყენებდნენ კონკრეტულ კლასებში კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. აქვე, სალომე ოსეფაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის შემდგომ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას აღმოფხვრა ყველა ხარვეზი და გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია.

სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკა რიგი სკოლების შემთხვევაში განსხვავებული იყო, რის დამადასტურებლადაც მოიყვანა სხვადასხვა მაგალითი. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო ნორმებზე და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოსგან დაირღვა ბრძანება N99/ნ-ის მე-19-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო თანამშრომლობაზე და არ უნდა ეცადა პრივილეგირებულ პოზიციასში საკუთარი თავის წარმოდგენას. საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენებინა ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების, საბჭოს წევრებისა და სააპელაციო საბჭოს წევრების კომპეტენტურობა, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ის მათ პოზიციას. მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა საბჭოს სხდომაზე დააფიქსირეს, რომ

დაწესებულების პასუხები არ იყო მათ მიერ გაზიარებული და გამოვლენილი გარემოებები მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებაში სპორტის სრულფასოვანი გაკვეთილები არ ტარდებოდა. ასევე, მისი განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, მუხლი 53 და მუხლი 54, რომელთა მიხედვითაც, ყველა თანასწორი უნდა ყოფილიყო კანონის წინაშე და ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა კერძო და საჯარო ინტერესები. აქვე, სალომე ოსეფაშვილმა დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭომ დაუსაბუთებლად შეზღუდა 158 მოსწავლის, 21 მასწავლებლისა და შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი ინტერესები. მისი თქმით, საბჭოს მხრიდან დაირღვა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლისა და 96-ე მუხლის მოთხოვნები. სალომე ოსეფაშვილმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს, წარმოდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების, დაწესებულების პოზიციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკითხი განმეორებითი განხილვის მიზნით დაბრუნებოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლამ არსებული შეუსაბამობები აღმოფხვრა და ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როდის მოხდა დაწესებულების მხრიდან არსებული შეუსაბამობების გამოსწორება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სალომე ოსეფაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ ზეპირსიტყვიერად გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება და ხარვეზების გამოსწორება დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო. ასევე, როდესაც დაწესებულებას გაეგზავნა დასკვნის პროექტი და მიეცა 10 კალენდარული დღე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, მას აღნიშნულ ვადაში ყველა ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა. მისი თქმით, საბოლოო დასკვნის მომზადებისას და ავტორიზაციის საბჭოს სხდომისათვის დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდა, ასევე, აღმოფხვრილი იყო ყველა ხარვეზი. ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა მათთვის ხელთარსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. მისი თქმით, შესაძლებელი იყო დაწესებულებას მოგვიანებით გამოესწორებინა ხარვეზები, თუმცა, აღნიშნულს ვერ გაითვალისწინებდნენ საბჭოს წევრები. აქვე, მან დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭოსთვის გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების ვიზიტის დროს დამდგარი ფაქტების გათვალისწინება. სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან არ უნდა დადგენილიყო ხარვეზი, რადგან, მისი თქმით, ბრძანება N99/ნ-ის თანახმად, 2.1.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლებოდა თუ დაწესებულებას ჰქონდა სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. აქვე, სალომე ოსეფაშვილმა დასძინა, რომ ექსპერტთა ვიზიტისას, დაწესებულებას გააჩნდა მწვანესაფარიანი მოედანი, მინი-მოედანი კალათბურთისთვის და სპორტული დარბაზი, შესაბამისად, აღნიშნული ქვესტანდარტი ითვლებოდა დაკმაყოფილებულად.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს მინიჭებული ჰქონდათ დისკრეცია, კერძოდ, ექსპერტთა უარყოფითი შეფასების მიუხედავად, მათ ჰქონდათ თავისუფლება მიეღოთ გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების / გაგრძელების შესახებ, ან პირიქით, დადებითი დასკვნის მიუხედავად, მიეღოთ გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან გაუქმების შესახებ. მათ ჰქონდათ თავისუფლება გადაწყვეტილების მიღების საკითხში, თუმცა, მათი თავისუფლება არ უნდა გამცდარიყო სამართლებრივ და მორალურ-ეთიკურ ნორმებს.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას, რომლის

მიხედვითაც, დაწესებულებაში დარღვეული იყო ავტორიზაციის პირველი და მეორე სტანდარტი. მისი განცხადებით, საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მიერ ვერ იქნა სრულყოფილად წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსწორების შესახებ პასუხები. ასევე, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ შეუსაბამობები ეხებოდა სკოლაში უსაფრთხო გარემოს არ არსებობასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან და შედეგებთან თავსებადობას. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდნენ მოქმედი კანონმდებლობით. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პრინციპები დაფუძნებული იყო შეფასებაზე და შეფასებიდან გამომდინარეობდა, ის შედეგები, რაც სწავლა-სწავლების პროცესში ხორციელდებოდა, დაწესებულებას კი არ ჰქონდა სათანადო შეფასების სისტემა. მისი თქმით, დაწესებულებაში დაფიქსირებული ხარვეზები უარყოფით გავლენას ახდენდა მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და შესაძლოა გამოეწვია გამოუსწორებელი მდგომარეობა, მათ შორის, ვადაგასული წამლების არსებობა ერთ-ერთია, რომელიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას ექვევებდა და შესაძლოა ფატალური შედეგიც დამდგარიყო. ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ საბჭო წევრის ვალდებულება იყო ზეპირ მოსმენაზე გაეკეთებინა შეფასება ასევე, სკოლის უკუკავშირიდან გამომდინარე. აქვე, მან დასძინა, რომ ზეპირ მოსმენაზე დაწესებულებისგან მიღებული უკუკავშირი არ აღმოჩნდა მისთვის, როგორც საბჭოს წევრისთვის, საკმარისი და დამაჯერებელი იმისათვის, რათა, დაწესებულებისთვის მონიტორინგის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიეღო და გაებათილებინა ის შეუსაბამობები, რაც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა დასკვნაში.

ირაკლი ბურდულმა მიმართა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გააჩნდა ე.წ. საუკეთესო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული წარმოებების შემთხვევაში იღებდა გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებისას საბჭო გვერდს ვერ აუვლიდა უკვე დადგენილ და არსებულ პრაქტიკას. მისი თქმით, აღნიშნული პრაქტიკა შესაძლებელი იყო შეცვლილიყო. მან მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმის შემთხვევაში გადაწყვეტილებისას მიღებისას მათ უნდა დაესაბუთებინათ თუ რატომ ცვლიდნენ არსებულ პრაქტიკას, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და არგუმენტაცია ექვევებდნენ. მან კითხვით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დაეზუსტებინათ, შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმისთვის გადაწყვეტილების მიღებისას რატომ შეცვალა საბჭომ ერთიანი მიდგომა, როგორც ამას აპელანტი სკოლის მხარე ასაბუთებდა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ აღნიშნული პრაქტიკა გარკვეული ხარვეზების კომბინაციებით იქმნებოდა. მისი თქმით, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც საბჭოს კონკრეტული სკოლისთვის არ მიუნიჭებია ავტორიზაცია, გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოება იდგა ექვევებდა. მისი თქმით, გარკვეული გარემოება განპირობებული იყო კონკრეტული კონტექსტით, აღნიშნული კონტექსტები კი ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო და გადაწყვეტილების მიღებისას ყოველ სკოლასთან მიმართებით გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური კონტექსტი და პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განმარტა, რომ საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ ვალდებულება ერთიანი გადაწყვეტილების მიღების. საბჭოს თითოეული წევრი იღებდა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სკოლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზეპირ სხდომაზე მოსმენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად. ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ ის არცერთი სკოლის შემთხვევაში იღებდა გადაწყვეტილებას განზოგადებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მას ასევე, არ ჰქონდა აღნიშნულის ვალდებულება. მისი თქმით, თითოეული სკოლა მისიით, ხედვით, ღირებულებებითა და არსებული პრაქტიკით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და შესაბამისად, განსხვავებული იყო მათი შესაბამისობის საკითხიც ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ არცერთ საბჭოს წევრს, ასევე, ექსპერტს არ დაუსვამს კითხვა სკოლის საუკეთესო პრაქტიკისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ, რაც არ იძლეოდა საკითხის სრულფასოვანი და სამართლიანად შესწავლის საფუძველს. მისი თქმით, დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, აპირებდა ცენტრში განმეორებითი ავტორიზაციის მიღების მიზნით, საავტორიზაციო განაცხადის შემოტანას. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრებს ექნებოდათ შესაძლებლობა ხელახალი ავტორიზაციის პროცესში შეეფასებინათ დაწესებულების საქმიანობა და შეესწავლათ თუ რა და როგორ გამოასწორა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გიორგი ტრაპაიძემ განაცხადა, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად, 20 ან მეტი ადამიანის თავშეყრის შემთხვევაში, სპორტის დარბაზს უნდა ჰქონოდა მინიმუმ 2 სათადარიგო გასასვლელი. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები. დაწესებულების იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განმარტა, რომ სკოლამ შეიმუშავა პროექტი და საევაკუაციო კიბის დამონტაჟების ნებართვის მიღების მიზნით, 2022 წლის მარტის თვეში მიმართა მერიას, თუმცა, მერიისგან დღემდე პასუხი არ ჰქონდათ მიღებული, ნებართვის გარეშე კი ვერ განახორციელებდნენ საევაკუაციო გასასვლელის მონტაჟს. გიორგი ტრაპაიძემ სთხოვა დაეზუსტებინათ დაწესებულების წარმომადგენლებს ტარდებოდა თუ არა სპორტის გაკვეთილები მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ დარბაზს საევაკუაციო გასასვლელი არ ჰქონდა. სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, იმ ოთახში, სადაც უნდა დამონტაჟებულიყო საევაკუაციო გასასვლელი, არ ტარდებოდა სპორტის გაკვეთილები. გიორგი ტრაპაიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას სპორტის გაკვეთილები უნდა ჩატარებინა ღია სივრცეში, თუმცა მისთვის გაუგებარი იყო უამინდობის გამო, სად და როგორ ჩატარდებოდა სპორტის გაკვეთილი. სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ღია სივრცეებთან ერთად სპორტის გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელი იყო საკლასო ოთახებში. მისი თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმის 81-ე მუხლის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე სპორტის გაკვეთილები აუცილებლად არ მოითხოვდა ფიზიკურ აქტივობებს და შესაძლოა ჰქონოდა თეორიული ხასიათი, ის არ საჭიროებდა დიდ ფიზიკურ დატვირთვას და რეკომენდირებული იყო ჩატარებულიყო საკლასო ოთახებში, თუნდაც პრეზენტაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:53 საათი

დასრულების დრო: 16:15 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხის ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ იქნას შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში (ს/კ: 434159091) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭომ ავტორიზაციის საბჭოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის გამო, დააკმაყოფილა შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი. მან ასევე მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, შესაბამისად, დაწესებულებას ყურადღება უნდა მიექცია ყველა გარემოებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სააპელაციო საბჭოს სხდომა 16:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

